# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ხარაგაულელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხარაგაულის მერობის კანდიდატისა და ხარაგაულის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხარაგაულის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხარაგაული და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წლის მონაცემებით, ხარაგაულის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 7,2 მილიონ ლარს შეადგენდა, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საბიუჯეტო ხარჯების მუხლი 21,6 მლნ ლარია. ამასთან, იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 5,3 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 7,8 მლნ ლარია.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.**

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,** 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამით **„დანერგე მომავალი"**, 8 ჰექტარზე განხორციელდა 23 პროექტი (ჯამურად 145 495 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 68 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 206 645 ლარი), რითაც 192-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 3 კოოპერატივი (48 მეპაიე, კაპიტალი 164 000 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 25-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 1 683 922 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 234 512 ლარი).

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში**, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 1 921 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 6 390 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

**მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით, 412 245 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 510 362 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 55 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 17, ახალი „სტარტაპის" მხარდასაჭერად 38 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

### ენერგეტიკა

**ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

„ქართული ოცნების" გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

**იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:**

- **„ნამახვან ჰესების"** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

## რიკოთზე ახალი მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია





იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში**, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 205 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2022-2024 წლებში იგეგმება 6 სოფლის (ღარიხევი, წიფი, ქროლი, კიცხის იგორეთი, ლაშის იგორეთი, ღუდუმექედი) გაზიფიცირების სამუშაოები (დამატებით 336 აბონენტი). 2013-2017 წლებში **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 5 680 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც ხარაგაულის მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს ხარაგაულში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2014-2017 წლებში, **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკთან** დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაიხარჯა 551 ათასი ლარი. მათ შორის, ეროვნული პარკის მიმდებარედ ამუშავდა 3 **სასტუმრო და კვების** 3 ობიექტი; განხორციელდა ხარაგაულის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის რეკონსტრუქცია (დაიხარჯა 83 770 ლარი); მარელისის სასტუმროს სარემონტო-სარეაბილიოტაციო სამუშაოები;

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

## ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,** 2013-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 64 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4232,8 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,**

2015 წელს, მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდა ტყის მართვის გეგმა მომდევნო 10 წლიანი პერიოდისთვის.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2024 წლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ხარაგაულში **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 25,2 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 3, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 5,888 მლნ ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა,შედეგად, ხარაგაულის 24 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 383 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

**ხარაგაულის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარების მიზნით, ხელისუფლების გეგმის თანახმად, დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:** დაბა ხარაგაულში წყალანირების კანალიზაციის სისტემის პროექტირება/მშენებლობა (1 890 360 ლ); დაბა ხარაგაულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (3 916 930 ლ); დაბა ხარაგაულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა II ეტაპი (2 344 999) ლ;

### 2021 წელს ხარაგაულში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია – 371 013 ლ;
- სოფელი მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია – 285 126 ლ;
- ჩხერის გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპი – 447 080 ლ;
- ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ქიპაშვილების უბანი) – 355 180 ლ;
- ვანი ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 352 509 ლ;
- სოფელ ქვების გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 198 884 ლ;
- სოფელ წყალაფორეთში ბაღისუბნის გზისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია – 304 999 ლ;
- სოფელ ვერტყვილაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილები, ეკლესი) – 66 989 ლ;
- ახალსოფლის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 334 885 ლ;
- სოფელ ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი) – 213 336 ლ;
- სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია (I ეტაპი) – 354 349 ლ;
- ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი II ეტაპი) – 269 649 ლ;
- ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გოჭოურის უბანი) – 169 251 ლ;
- სოფელ მაქათუბნის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია – 250 000 ლ;
- სოფელ სარგვეშში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხვიჩა მუმლაძის უბანი) – 100 000 ლ;
- სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია – 185 000 ლ;
- სოფელ კიცხში საუბნო გზების რეაბილიტაცია – 172 069 ლ;
- სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 112 432 ლ;
- სოფელ გედსამანიის გზის რეაბილიტაცია – 535 948 ლ;
- სოფელ ზვარეში გზის რეაბილიტაცია – 700 482 ლ;
- სოფელ ბაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია – 283 126 ლ;
- სოფელ თეთრაწყაროში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 150 000 ლ;
- სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 202 556 ლ;
- სოფელ ზედუბანის გზის რეაბილიტაცია – 268 216 ლ;
- სოფელ ნუნისის გზის რეაბილიტაცია ხიდიდან მონასტერამდე – 217 042 ლ;
- ლეღვანი-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 137 475 ლ;
- ბაზალეთი-ღორეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 8 489 614 ლ.

### ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება:

- სოფელ ლეღვანში კიბაბოურის უბანში ხიდის აღდგენის/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა – 368 082 ლ;
- სოფელ ხევის საუბნო გზის რეაბილიტაცია – 130 172 ლ;
- ერეთა დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 458 885 ლ;
- საქარიქედი (მუხების უბანი)-ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 484 477 ლ;
- მარელისში ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 271 249 ლ;
- სოფელ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაცია – 202 904 ლ;
- ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 670 587 ლ;
- სოფელ სარგვეშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი) – 440 189 ლ;
- ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეების, ფაბრიკის უბანი) – 350 281 ლ;
- სოფელ ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი) – 295 000 ლ;
- ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია – 300 000 ლ;
- სოფელ ლახუნდარაში საუბნო გზის რეაბილიტაცია – 128 452 ლ;
- სოფელ ვარძიაში საუბნო გზის რეაბილიტაცია – 150 000 ლ;
- გოლათუბანში სხვერისა და სადგურის უბნის გზის რეაბილიტაცია – 290 153 ლ;
- სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია – 361 756 ლ;
- დაბაში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული გზის საყრდენი კედლის აღდგენის/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა – 470 213 ლ;
- სოფელ ლეღვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის გამაგრებისათვის საყრდენი კედლის/გაბიონის მშენებლობის სამუშაოები – 184 305 ლ;
- ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების/ხიდბოგირების და არხების აღდგენის/მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა – 177 400 ლ;
- აქტიურ ფაზაშია **რიკოთის უღელტეხილზე** საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური – ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისას– შორაპანის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე (ჯამური ინვესტიცია 2,8 მლრდ ლარს აღემატება). სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.
- ამ ეტაპზე გზის მოასფალტება ძირულა-ხარაგაულის მონაკვეთზე თითქმის დასრულებულია და სამუშაოები მიმდინარეობს ხარაგაული-მოლითი-ფონას მიმართულებით (100 მლნ ლარი).

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კობა ლურსმანაშვილი: „ხარაგაულელებთან და „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, კიდევ მრავალ წარმატებას მივაღწევთ!“

**„ჩემი მხრიდან ამ შემოთავაზებაზე დათანხმება, არ არის რაიმე ფორმით მიჯაჭვა ამ თანამდებობაზე და იმ სკამზე, რომელიც არჩევითი და ძალიან საპატიოა. დარწმუნებული რომ არ ვიყო, ჩემი ხარაგაულისთვის პროდუქტიული ვიქნები, ასევე ჩემი ხარაგაულელების მხარდაჭერას რომ არ ვგრძნობდე, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი“, – ასე ხსნის კობა ლურსმანაშვილი გადაწყვეტილებას, კვლავ იბრძოლოს ხარაგაულის მერობისთვის.**

**„ქართული ოცნების“ კანდიდატი ბოლო წლებია მუდმივად ხარაგაულელების სამსახურშია – წარმატებული გამგებელიც იყო, ხარაგაულელების ინტერესების დამცველიც პარლამენტში და მერიც. ამბობს, რომ ბოლო არასრულ ერთ წელშიც, ხარაგაულში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. სამომავლოდაც ბევრი გეგმა აქვს – ხარაგაულელებთან და „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, კიდევ მრავალ წარმატებას უნდა მიაღწიოს!**



დაიბადა 1970 წლის 5 მარტს, ხარაგაულში. სწავლობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროს არასრულ საშუალო სკოლაში, დაბა ხარაგაულის №1 საშუალო სკოლაში. წარჩინებით დაასრულა თბილისის სამრეწველო ეკონომიკური ტექნიკუმი. 1990 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლა განაგრძო ამავე სასწავლებელში საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე, რომელიც 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2018 წელს არჩეულ იქნა დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორად, ხოლო 2019 წელს – ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. 1992-1994 წლებში იყო „ცენტრალური ეროვნული თავდაცვითი საბჭოს“ წევრი. 1994-1996 წლებში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგაში“ იურისტად. 1996-1997 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტში უფროსი სპეციალისტი, საქართველოს პარლამენტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი. 1998-2002 წლებში აირჩიეს ხარაგაულის საკრებულოს წევრად, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ. 2002-2003 წლებში იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის თემის საკრებულოს წევრი, კიცხის გამგებელი, ხარაგაულის ასოცირებული საკრებულოს წევრი. 2003-2004 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს ხარაგაულის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსად. 2004-2009 წლებში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. 2009-2013 წლებში იყო ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2012 წელს იყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი. 2013 წლიდან არის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ხარაგაულის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრი. 2013 წელს, კონკურსის წესით, დაიკავა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა. 2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, არჩეულ იქნა ხარაგაულის გამგებლად. 2016 წელს, არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, №51 ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარული ოლქიდან. 2016-2020 წლებში იყო პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი, თვითმმართველობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტის განმხილველი საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის წევრი, საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს წევრი, სხვადასხვა ქვეყნების საპარლამენტო თანამეგობრობის ჯგუფის წევრი. 2017-2020 წლებში იყო საქართველოს მთავრობის მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრი. 2015 წელს მიღებული აქვს საქართველოს მთავრობის ჯილდო, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტის გამგებელს. 2014 წელს მინიჭებული აქვს „საპატიო ეკოლოგის“ წოდება. 2020 წლიდან დღემდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

**– ბატონო კობა, როგორ ფიქრობთ, გუნდმა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ ნდობა?**

– ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევანი კვლავ ჩემზე გააკეთა. მადლობას გადავუხდი ამისთვის. გუნდის მხრიდან ეს არ არის ჩემი პირველი წარდგენა მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე. პარტიის ხელმძღვანელებთან, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან საუბრისა და რაც მთავარია, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება. ჩემი მხრიდან ამ შემოთავაზებაზე დათანხმება, არ არის რაიმე ფორმით მიჯაჭვა ამ თანამდებობაზე და იმ სკამზე, რომელიც არჩევითია და ძალიან საპატიო. დარწმუნებული რომ არ ვიყო, ჩემი ხარაგაულისთვის პროდუქტიული ვიქნები, პირადად მე, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. მოსახლეობისგანაც აშკარად იგრძნობა დიდი ნდობა „ქართული ოცნებისა“ და პირადად ჩემს მიმართაც.

დაწყებული საქმეები, რეფორმები, ახალი პროექტები, პროგრამები, რომელიც ქვეყანაში და ხარაგაულშიც ხორციელდება, ხარაგაულის ბიუჯეტი, რომელიც სრულად არის ორიენტირებული მოქალაქეთა ინტერესებზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, ახალგაზრდების წახალისებაზე, გაჭირვებულების გვერდით დგომაზე, ქმნის იმ ფონს, რომ დღეს ხარაგაულში მოსახლეობა „ქართული ოცნების“ მოღვაწეობას უყურებს იმედით. ჩვენ ყველა საარჩევნო დაპირება შევასრულეთ, რიგ შემთხვევაში – გადაჭარბებითაც. ბევრი ისეთი მასშტაბური რამ გავაკეთეთ ხარაგაულში, რაც საარჩევნო თემატიკაში არ გამოგვიტანია. 2020 წლის არჩევნებზე 56 საარჩევნო დაპირება გავეცით, რომელშიც მითითებული გვქონდა 2020-2024 წლების პერიოდი და ამ დაპირებების 80% უკვე შესრულებულია. მოსახლეობა ამას ხედავს.

**– 2020 წელს გამარჯვების შემდეგ, არასრულ ერთ წელში რის გაკეთება მოასწარით და სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

– უპირველესად უნდა აღვნიშნო პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაანონსებული რეგიონების განახლების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულის ცენტრალური ნაწილი იქნება სრულად რეაბილიტირებული. პრაქტიკულად, სამუშაოები უკვე დაიწყო, რაც შეცვლის ხარაგაულს და მას უფრო მიმზიდველს გახდის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დაბის მოსახლეობას ჰქონდეს 24-საათიანი წყალმომარაგება. ამ მიმართულებით სამუშაოები აქტიურად ხორციელდება და რეაბილიტაცია უტარდება ლეღვნის-სათავე ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია კორპუსების შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ხარაგაულს არ გააჩნდა წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა და ეს პრობლემაც გადაიჭრა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რადგან დაბაში კანალიზაციის სისტემა არასდროს ყოფილა. დავიწყეთ ახალი პროექტების განხორციელებაზე ფიქრიც. ეს გახლავთ საპილოტე ინტეგრირებული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულის შემოსასვლელში ე.წ. დევების ქანდაკებებთან, სარეკრეაციო ზონა გაფართოვდება, რეაბილიტირდება. აქ მოეწყობა ახალი სკვერი, ხელნაკეთი ნივთების სარეალიზაციო ადგილი... შემოსასვლელშივე არის ცაშეკრულას კანიონი და ზემოპალეოლითის ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, დევების გამოქვაბული. გვინდა, ეს ტერიტორია კეთილმოეწყოს და რეაბილიტირდეს. მდინარე ჩხერიმელაზე დავიწყეთ და მომავალში უფრო გავააქტიურებთ ჯომარდობის განვითარებას. გვინდა მეკლდეურთა მიმართულების განვითარებაც. უმნიშვნელოვანესია ჩვენი ტურისტული ზონების – ნუნისისა და ზვარეს მოწესრიგება. უკვე დასრულდა ნუნისი-ზვარეს გზის მობეტონება, ასევე მოწესრიგდა ზვარეს ცენტრალური გზა. დაწყებულია ფონა-ჩუმათელეთის მხრიდან ახალი, რეაბილიტირებული გზის გაყვანა და ეს ყველაფერი შეკრავს ერთ დიდ ტურისტულ ზონას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან ერთად. ყოველივე ჩვენი უშუალო მუშაობით, ჩართულობით ხორციელდება.

**– უკვე ახსენეთ, რომ ბიუჯეტი სოციალური პრობლემების საკითხებზეა მორგებული. ბოლო დროს ბიუჯეტში რაიმე სიახლე შეიტანეთ?**

– როცა თანამდებობაზე მოვედი და 2021-ის ბიუჯეტს ვგეგმავდით, ჩემი პრინციპული მოთხოვნა იყო, მილიონზე მეტი დაგვეხარჯა სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებზე. ბოლო ცვლილებით, კიდევ გავზარდეთ ბიუჯეტი. ანუ, მილიონიან ბიუჯეტს, სოციალური ჯანდაცვის მიმართულებით, ხარაგაული დიდი ხანია გასცდა. ამ თანხით, 23-ზე მეტი პროგრამა თუ ქვეპროგრამა ხორციელდება. ამით მნიშვნელოვან საკითხებს ვუგვარებთ მძიმე საცხოვრებელ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს, სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ვეტერანებს. და რაც მთავარია, პირველად ხარაგაულის ისტორიაში, შევქმენით პრეცედენტი და 150 ათასი ლარი გავითვალისწინეთ, როგორც სამოქალაქო ბიუჯეტი. ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება და ამ მიმართულებით საინტერესო სიახლეებია. მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი იდეები წარმოადგინონ და მიიღონ იმ საჭიროებების გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომლებიც შეიძლება ჩვენ გამოგვრჩა მხედველობიდან, ან ისე აქტიურად არ იყო განხილული. შეხვედრების დროს მათგან ყოველთვის მოდიოდა იდეები, მაგრამ ასე, პირდაპირი ფორმით, სამოქალაქო ბიუჯეტირების კომპონენტი ბიუჯეტში არ იდო. თუმცა, იყო პროგრამები, რომლებიც უშუალოდ მოქალაქეების ჩართულობით ხორციელდებოდა. ამ მხრივ გამოვყოფ „სოფლის მხარდაჭრის პროგრამას“. ამ პროგრამით ყოველწლიურად, მოსახლეობის უშუალო ჩართულობით სოფლისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება. თუ იდეის განხორციელებისთვის არ არის საკმარისი თანხა, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება. დარწმუნებული ვარ, მოქალაქეები მომავალში კიდევ უფრო მეტად აქტიურები იქნებიან და მეტად მივცემთ მათ ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას. ჩვენ ხომ მათი არჩეულები ვართ და, რა თქმა უნდა, მათი დაკვეთა უნდა შევასრულოთ.

**– სხვათაშორის, სწორედ სოფლის პროგრამების განხორციელებაზე გაკრიტიკებდნენ. არის რაიმე ისეთი პროექტი, რომელიც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ განახორციელეთ ან სათანადო შედეგი ვერ დადეთ და ხინჯად გაქვთ?**

– გარკვეული ჯგუფები ზოგჯერ შეგნებულად ავრცელებენ დეზინფორმაციას. ამბობდნენ, თითქოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ შესყიდვებისას, ხელშკრულებების არატენდერების გზით გაფორმება კანონდარღვევაა. კარგად იციან, რომ ამ პროგრამის ფარგლებში პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმებას კანონი არ კრძალავს. თუმცა მაინც

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ცდილობენ დეზინფორმაციით მოგვაყენონ დარტყმები პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც უკან ნამდვილად არ უბრუნდებათ სახარბიელოდ – მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს, რა როგორ კეთდება. ხშირად მითქვამს ჩემი ოპონენტებისთვის, იმაზე კი ნუ აქვთ აგებული პოლიტიკური პროცესები, რომ მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირება გააღვივონ ხარაგაულში და არარსებული და გამოგონილი ინფორმაციებით ასაზრდოონ საზოგადოება, არამედ საარჩევნო პროცესებში, კონკურენციაში შემოვიდნენ თავიანთი ხედვებით, განვლილი გზით, თავიანთი გაკეთებული საქმეებით. დიახ, არის პროექტები, სადაც შეიძლება ისეთი შედეგი ვერ დადგა, როგორსაც ველოდით. მაგალითად, აქტუალურია ხარაგაულში წყლის მიწოდების საკითხები. ზოგ შემთხვევაში, სადაც არ გვაქვს ზედაპირული წყლები, ჭაბურღილებს ვაკეთებთ, ცხადია, გეოლოგიური დასკვნებითა და შესაბამისი შესწავლით, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელია შეასრულო სამუშაო და ისეთი წარმადობის წყალი ვერ მიიღო, როგორსაც ელოდი. არის საპირისპირო შემთხვევებიც – რამდენიმე სოფელში 6 ჭაბურღილს ვაკეთებთ და მოულოდნელად, ერთ-ერთ სოფელში ისეთი წარმადობის მიწისქვეშა წყალი აღმოვაჩინეთ, რომლითაც შესაძლებელია ერთი კი არა, კომპაქტურად დასახლებული რამდენიმე სოფელი მოვამარაგოთ წყლით. თუ სადმე არ დადგა სასურველი შედეგი, საკითხს უყურადღებოდ არ დავტოვებთ, კვლავ მივუბრუნდებით და გაჩერებულ პროექტებსაც კი გავაცოცხლებთ. ჩვენ უკვე გვაქვს ამის გამოცდილება, აქტიური მუშაობისა და ძალისხმევის შედეგად, ჩვენს მიერ წინა წლებში შეჩერებული, 10 პროექტი ამოქმედდა. მოხდა თანხების გადაფასება, გამოიყო დამატებითი ფინანსები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჩვენ მათ „გაცოცხლებული პროექტები“ ვუწოდეთ, მათგან 8 პროექტი უკვე დასრულებულია, დანარჩენი 2 კი დასრულების ეტაპზეა.

**– ბატონო კობა, გამარჯვების შემთხვევაში, თქვენი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ, ხარაგაული როგორი იქნება?**

– ხარაგაული სამომავლოდ იქნება განსაკუთრებული შესაძლებლობების, მწვანე მუნიციპალიტეტი. აქ 70%-ზე მეტი ტყეა, გვაქვს განსაკუთრებული ადგილები. ხარაგაულის შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ. ხარაგაულში სამუშაო ადგილები კერძო სექტორმა, მძლავრმა ბიზნესჯგუფებმა უნდა შექმნას. ამისთვის საჭიროა სწორი გზავნილები ინვესტორებთან. ვიზრუნებ, რომ გაჩნდეს ეს შესაძლებლობები, რომლებსაც მოყვება, ჩვენი პატარა, ლამაზი, კოპწია სოფლების აღორძინება და ამ სოფლებში თუნდაც საოჯახო ტურიზმის განვითარება, ტრადიციული დარგების აღდგენა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ხარაგაულის ტერიტორიაზე ხის კენკროვნების განვითარება. სოფელ გედსამანიის მოსახლეობა ამაზე ორიენტირებულია და სხვა სოფლების მაცხოვრებლებთან შედარებით, კარგი შემოსავლები აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ პანდემიური ფონის მიუხედავად, დიდი დატვირთვით მუშაობს ბალნეოლოგიური კურორტი ნუნისი და ვფიქრობ, მისი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. უახლოეს მომავალში ახალი ლიცენზიები იქნება გამოტანილი უნიკალურ „ზვარეს“ მინერალურ წყალზე, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. შესაძლებელია, ძლიერი ბიზნესსეგმენტი შემოვიდეს. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ხარაგაულში დააბრუნებს მამაპაპისეული სახლებიდან წასულ მოსახლეობას. უახლოეს მომავალში, ისეთ ხარაგაულს ვისურვებდი, სადაც ყველა ოჯახს საკუთარი, ძლიერი და გამართული მეურნეობა ექნება, დასაქმების რეალური შესაძლებლობები და საზღარგარეთ არ მოუწევთ სამუშაოდ წასვლა.

**– ისე, პანდემიის დროს, არაერთი ოჯახი დაუბრუნდა მამაპაპისეულ სახლკარს. ხარაგაულშიც ხომ არ დაფიქსირდა ასეთი შემთხვევები?**

– დიახ, ასეთი შემთხვევები არის. ადამიანები მოდიან და ადგილზე დამკვიდრების სურვილს გამოთქვამენ. განსაკუთრებით მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში, სადაც შეღავათებით, ბიზნესსაქმიანობას გეგმავენ. ცდილობენ მერიასთან იკონტაქტონ და ისარგებლონ სხვადასხვა საშეღავათო პროგრამით, რომელსაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. იქნება ეს დაბრუნებულთათვის მიწის საკუთრების აღიარება, რომელსაც მერია ხელს უწყობს, ეკონომიკური თუ სოფლის მეურნეობის პროგრამები. არც ერთ ასეთ ადამიანს არ ვტოვებ უყურადღებოდ და მაქსიმალურად ვცდილობ მათ ხელი შევუწყო. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ჩვენთან დამკვიდრების სურვილი გამოთქვეს ისეთმა ადამიანებმა, ვისაც ხარაგაულთან აქამდე შეხება არ ჰქონია. შემხვდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც მითხრეს, რომ სრულიად შემთხვევით, ინტერნეტსივრცეში განთავსებული განცხადების საფუძველზე, ხარაგაულის სოფლებში შეიძინეს მიწა, სახლ-კარი, აქ დიდ დროს ატარებენ და ფიქრობენ, რაიმე მეურნეობა ან საოჯახო ტიპის სასტუმრო განავითარონ. აქვთ იდეები და მათაც მაქსიმალურად ვუდგავართ გვერდით. ცხადია, ეს იმის დამსახურებაა, რომ ხედავენ – ხარაგაული ვითარდება. გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს პროცესი შეუქცევადი და ეფექტური იყოს.

**– მოკლედ, როგორც ვატყობ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ.**

– რა თქმა უნდა. ხარაგაულში ჩემი გუნდი მოსახლეობის ძლიერ მხარდაჭერას ვგრძნობთ, რაც გვაძლევს იმის მორალურ უფლებას და გვახალისებს, ჩავერთოთ არჩევნებში, რომელსაც დამაჯერებლად მოვიგებთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით. ჩემს ხარაგაულელებთან ბევრი და ხანგრძლივი საუბარი არ მჭირდება იმის ასახსნელად, თუ რა გვაერთიანებს, რა თქმა უნდა, ეს არის ხარაგაულის სიყვარული და მის ხვალინდელ დღეზე ფიქრი. ვხედავ, როგორი უნდა იყოს ხარაგაულის ხვალინდელი დღე მათთან ერთად. ეს არის თავისუფალი, ლაღი, ნამდვილი „მწვანე მუნიციპალიტეტის“ სტატუსის მუნიციპალიტეტი, რომელიც ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებით კიდევ უფრო განიმტკიცებს ამ სახელს. დარწმუნებული ვარ იმერეთი და იმერეთში გამორჩეულად, ხარაგაული იტყვის თავის მძლავრ სიტყვას 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ხარაგაული ამ კუთხით ნამდვილად გამორჩეულია. ის პატრიოტიზმი, რომელიც ხარაგაულელებშია, ცხადია, პოულობს სწორ გზას. ეს ძალიან გვახარებს, რადგან ასე გაერთიანებულები ყოველი პოლიტიკური პროცესის წინ ვდგავართ ერთად და ვიღებთ გამარჯვებებს და ეს გამარჯვება არის თითოეული ხარაგაულელის მიერ მოტანილი. გამარჯვებაში დარწმუნებული კიდევ იმ მიზეზით ვარ, რომ ზურგს მიმაგრებს ჩემი გუნდი. „ქართული ოცნების“ გაკეთებული, უკვე დაწყებული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების ალტერნატივის შემოთავაზების შესაძლებლობა არც ერთ სხვა ძალას არ გააჩნია! „ქართული ოცნების“ გუნდს საზოგადოებაში ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე ჩვენი მხარდამჭერია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ უფრო დიდი ნდობა საქმეზე საუბრით, კონკრეტული ხედვებისა და ჩვენი რაიონის განვითარების მკაფიო გეგმის შეთავაზებით მოვიპოვოთ. ჩვენ სრულიად მომზადებულები, პოლიტიკურ პროცესებში რომ ჯდება, იმ ფორმატით დავხვდებით ჩვენ ოპონენტებს და ვუპასუხებთ მათ დაპირისპირებას, სიცრუეს, მათ ზღვარგადასულ ქმედებებს – სიყვარულითა და პატივისცემით. ჩვენ მათ დავანახებთ, რომ ხარაგაულში ფასობს ის ღირებულებები, რომელიც ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი. 2 ოქტომბერს ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას, შემდეგ კი ეს გამარჯვება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაში და ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლაში აისახება.



## კობა ლურსმანაშვილის „ძალიან მეგობრული და სიყვარულით აღვსილი ოჯახი“

იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც უკან ასეთი საინტერესო ცხოვრება აქვს მოტოვებული და მომავალში, ასეთ გრანდიოზულ გეგმებს სახავს. გეგმების უდიდესი ნაწილი მის საყვარელ რეგიონს, იმერეთს, იმერეთში კი – ყველაზე კოპწია, მწვანე და ლამაზი ხარაგაულის განვითარებას ეხება.

სხვაგვარად ვერც იქნებოდა, სწორედ აქ, სოფელ თეთრაწყაროში დაიბადა, სკოლაც ხარაგაულში დაამთავრა და ამ მუნიციპალიტეტთან განსაკუთრებული ემოციური კავშირი აქვს. აქ მის ოჯახსაც კარგად იცნობენ. მამა ბოლო წლებში მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობდა, დედა – გამთიშველების ქარხანაში, სადაც სპეციალურ სამხედრო დეტალებს ამზადებდნენ. ორი ძმა და ერთი და ჰყავს. ამაყობს ოჯახით და იმით, რომ მისი არც ერთი წევრი ხარაგაულში საჯარო სამსახურში არ მუშაობს.

ჰყავს მეუღლე, პროფესიით იურისტი თამარ ხუციშვილი და 26 წლის ქალიშვილი ანი. ანიმ მშობლების პროფესია აირჩია და ისიც იურისტია. სერვისების განვითარების სააგენტოში მუშაობს და საკმაოდ დამოუკიდებელი, წარმატებულია.

ოჯახი ახალ საარჩევნო მარათონშიც მხარდაჭერას უცხადებს – იციან, მისი ფიქრები მხოლოდ ხარაგაულს უტრიალებს და ყველა შანსს გამოიყენებს, რომ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სასიკეთო გააკეთოს. „განსაკურებით მიდგას გვერდით მეუღლე. მისთვის უცხო არ არის ჩემი რეჟიმი. ის მხოლოდ მეუღლე კი არა, საუკეთესო მეგობარი, ერთ-ერთი გამორჩეული თანამოაზრეა. ბედნიერი ვარ, რომ ძალიან მეგობრული, სიყვარულით აღვსილი ოჯახი გვაქვს“, – აცხადებს კანდიდატი.

საკუთარ განვითარებაზეც მუდამ მუშაობს და ახალგაზრდებსაც ხშირად უზიარებს გამოცდილებას. დავით აღმაშენებლის აკადემიაში სალექციო კურსიც ჰქონდა და აკადემიამ საპატიო პროფესორად აირჩია. ამ სასიხარულო ამბავს მალე მეორეც მოჰყვა – ტაო-კლარჯეთის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, აკადემიის აკადემიკოსობა მიენიჭა. „ეს უდიდესი პატივია. მომავალშიც ვიქნები დაინტერესებული, რომ ამ მიმართულებით უფრო აქტიური ვიყო. მინდა, ის უნარები და ცოდნა, რომელიც მაქვს, ახალგაზრდებს გადავცე. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვუყურებ ნიჭიერ ახალგაზრდობას და მათში ვხედავ ჩვენი ქვეყნის მომავალს. საკუთარი თავის დახარჯვა იმ მიზნით, რომ მათ შესაძლებლობა მივცე ჩემგან შეიძინონ თუკი რამ გამაჩნია მათთვის ღირებული, უდიდესი პატივია“, – აცხადებს კანდიდატი და იმასაც დასძენს, რომ დღეს მისი ფიქრები მხოლოდ ხარაგაულს უტრიალებს. საყვარელ მუნიციპალიტეტს, რომელიც მისგან ამ ეტაპზე მაქსიმალურ ენერგიასა და დროს ითხოვს.

როცა ოჯახის წევრებმა გაიგეს ისევ აპირებდა მერობისთვის ბრძოლას, უთხრეს: „შენ მაინც არ მოისვენებ და სჯობს ის აკეთო, რაც ყველაზე კარგად გამოგდისო“. როცა ვკითხე, ანუ ამ ეტაპზე მერობა ყველაზე კარგად გამოგდით მეთქი? – ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე მიპასუხა – დიახ, რადგან ჩემ ხარაგაულს გულით და მთელი მონდომებით ვემსახურებიო. იმაშიც გამოგვიტყდა, რომ ასეთივე მიდგომა ჰქონდა ცხოვრებაში ყველა ეტაპზე ყველა საქმისა თუ გადაწყვეტილებების მიმართ. იყო ეს პარლამენტში მოღვაწეობა, გამგებლობა, „ქართული ოცნების“ დაფუძნება თუ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა – ეროვნულ მოძრაობაში 1988 წლიდან ჩაერთო და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პოლიტიკური მოტივით, საბჭოთა ჯარში წასვლაზე უარი თქვა, ამის გამო, შიმშილობაც დაიწყო. 18 წლის ასაკში ჰქონდა ბედნიერება და პატივი მერაბ კოსტავას თანამებრძოლი გამხდარიყო. ეროვნულ გმირს პირადად იცნობდა და ამბობს, რომ კოსტავა მისთვის გაუტეხელობის, პატიოსნებისა და ღირსების მაგალითია. ეროვნულ გმირთან ურთიერთობამ, მასში ბევრი რამ შეცვალა. რაც მთავარია, ასწავლა ის, რომ პრინციპებს არასდროს უნდა უღალატოს და სანამ უნარი შესწევს, სანამ აქვს რესურსი, საკუთარ ქვეყანას, მშობლიურ მხარეს, მუნიციპალიტეტს და საყვარელ ხარაგაულელებს, ღირსეულად უნდა ემსახუროს!

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**



2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში,

**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით,** ხარაგაულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 28 221 914 ლარით დაფინანსდა 63 091 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (282 505,7 ლარით 20 053 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3 503 215 ლარით 42 300 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** ( 17 063 790 ლარით 12 457 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (4 291 659 ლარით 4 009 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 212 715 ლარით 2026 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** 980 758 ლარით 1 675 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 2 728 ბენეფიციარი (167 072 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 97,2% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ხარაგაულში,** სტაციონარული მკურნალობით 67-მა (188 016 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 531-მა პაციენტმა (60 180 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 3 218 ორსული (176 827 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი 955. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 577 პირი (311 811 ლარი). **ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან** სადიაგნოსტიკო კვლევებისათვის გამოიყო 7000 ლარი (3300 ბენეფიციარი), მათ შორის დადებითი აღმოჩნდა 76 ბენეფიციარი, აქედან კონფირმაციით დადებითი აღმოჩნდა 15 ბენეფიციარი. მკურნალობა ჩაიტარა 13 ბენეფიციარმა. **მუნიციპალური პროგრამით,** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 321 პირი ( 75 308 ლარი).

2012 წლის შემდეგ, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ხარაგაულში,** 2013-2021 წლებში, სულ 449 შემთხვევა 545 833 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 37 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

**2012-2019 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაცია განხორციელდა სოფლებში:** ხიდარი, წყალაფორეთი, ფარცხნალი, ვახანი, დაგეგმილია სოფელ ხევის ამბულატორიის ახალი შენობის მშენებლობა. აშენდა: დაბა ხარაგაულში პოლიკლინიკა (სენდვიჩ პანელებით მოეწყო ერთსართულიანი პირველადი დახმარების შენობა), ასევე ორსართულიანი თანამედროვე საავადმყოფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი. 2011-2012 წ.წ. – ფონდის „ქართუ“ დაფინანსებით, აშენდა სოფელ ბორითის „ემერჯენსი“ (პროექტის ღირებულება – 3 379 000 ლარი).

**2013 წელთან 1,5 – ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ – 147,4 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 84,6 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:** იმუნიზაციის პროგრამა; ეპიდზედამხედველობის განხორციელება და ეპიდსიტუაციის მართვა; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების, გაუმჯობესების ღონისძიებები; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ღონისძიებები;.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 4799 პირია. 2012 წლის შემდეგ 1,9-ჯერ – 6 793 968-დან 13 144 910 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 87 503 014 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ხარაგაულში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 85 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,2-ჯერ – 94 101-დან 391 179 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 707 933 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარსქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 810 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2-ჯერ – 2 351 ათასიდან 4 363 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 35 235 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 8 840 ათასი, შშმ პირებზე – 3 268 ათასი, ბავშვებზე – 11 002 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ხარაგაულში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1096 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,5-ჯერ – 356 989-დან 1 946 838 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 13 232 045 ლარი.



**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 60 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 31 192-დან 36 810 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 308 902 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართობი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში,** პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 4 დევნილ ოჯახს შეუსყიდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. საქართველოს მასშტაბით, 2021 წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (**მესამე და მომდევნო ბავშვი) **ხარაგაულში,** დაფინანსებულია 115 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 250 800 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 200 350 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ხარაგაულის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია – 2 146 095 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტში** ჩართული იყო 1163 ოჯახი, 2021 წელს – 1 263 ოჯახი (06.2021 წ. მდგომ.). **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 318-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაცემ.) – 294-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 288 პირი (2021 06.2021 წ. მონაცემ.) – 294.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით,** დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1003,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 554,7 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში ახორციელებს 5 პროგრამას:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შშმ პირების, მრავალშვილიანი ოჯახების კვირაში ხუთი დღე, დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით; მოსახლეობის მკურნალობა და სხვა სახის დახმარებები; ახალშობილთა ოჯახების დახმარება; ომის ვეტერანის და დევნილის დაკრძალვის პროგრამა; სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**



განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ. წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ხარაგაულში ფუნქციონირებს 19 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – დაბა ხარაგაულში.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარაგაულში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 631,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 268,1 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 476 ათასი ლარი იყო.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროექტები. მათ შორის: 2013-2016 წლებში** – ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფლებში: ვახანი (119, 2 ათასი ლარი); ვარძია (119, 2 ათასი ლარი); კიცხი (119, 2 ათასი ლარი); ლეღვანი (119, 2 ათასი ლარი); ხიდარი (105, 8 ათასი ლარი); წყალაფორეთი (117,5 ათასი ლარი); გუბე (194 ათასი ლარი). განხორციელდა საბავშვო ბაღების სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაციის სხვადასხვა სახის ათეულობით პროექტი – რეაბილიტირდა სამზარეულოები და სველი წერტილები, შეძენილია ინვენტარი, კეთილმოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეზოები. **2014 წლის შემდეგ** მუნიციპალიტეტში 8 ახალი ბაღი, მათ შორის ისეთ სოფლებში გაიხსნა, სადაც სკოლამდელი დაწესებულებები არასოდეს ყოფილა (ვახანში, ლეღვანში, ვარძიაში ხიდარში, ნადაბურში, წიფასა და ზვარეში). **2017 წელს:** განახლდა სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღის შენობა (200,8 ათასი ლარი). იმავე წელს, ხევის საბავშვო ბაღში გა-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

იხსნა მეორე ჯგუფი, ხოლო სოფელ წიფში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი. **2019 წელს:** განხორციელდა დაბის №1 საბავშვო ბაღის გაზიფიცირება; გაიხსნა სარგვეშის საბავშვო ბაღი; გედსამანიის საბავშვო ბაღში გაიხსნა სასკოლო მზაობის ჯგუფი. **2020** წელს გაიხსნა ბორის საბავშვო ბაღი. **2020-2021** სასწავლო წელს სოფ. გედსამანიაში, რომელსაც მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვს, პირველად გაიხსნა საბავშვო ბაღი. განხორციელდა დაბის №1 ბაღისა და ზვარეს საბავშვო ბაღების სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია (35 ათასი ლარი). სოფ. ღორეშის საბავშვო ბაღში მე-2, დამატებითი ჯგუფისათვის განკუთვნილი ფართობს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (23,5 ათასი ლარი), შემოიღობა №1 საბავშვო ბაღის ეზო (11 ათასი) ლარი. 2021 წელს სოფ. საღანძილესა და ვერტყვიჭალაში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღები (1 მლნ 440 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2020-2021 სასწავლო წლისთვის საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 342-დან 604-მდე გაიზარდა, 1-დან 2,15 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 62 აღმზრდელ**-პედაგოგი**. მათი **ხელფასი,** 2012 წელთან შედარებით, 200 ლარიდან 552 ლარამდე გაიზარდა. სააღმზრდელო დაწესებულებებს 10 ექიმი/ექთანი და 4 ფსიქოლოგი ემსახურება.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო და 9 მათთან შერწყმული დაწყებითი განათლების სკოლა** (დაბაში – 3, დანარჩენი – სოფლებში, მათ შორის 2 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში). საჯარო სკოლებში 1897 მოსწავლე და 497 მასწავლებელია, მათ შორის 19 სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 52 სსსმ მოსწავლე. 4 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:** 2017-2019 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 66 პროექტი დაფინანსდა. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის** პროგრამით, 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 5, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 49 პროექტი განხორციელდა. 2018 წელს კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით 1 სკოლა აღიჭურვა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში ჩართულია 1228 მოსწავლე, ყველა საჯარო სკოლას ემსახურება ტრანსპორტი (105 მიმართულება, 2018-2019 ს/წ I სემესტრ. მონაც.). 2017-2019 წლებში, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით,** 3 საჯარო სკოლას 23 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2020 წლებში, კომპიუტერებით დასაჩუქრდა 1276 პირველკლასელი (2017-2020 წ.წ. – 663), 138 – კლასის დამრიგებელი (2017-2019 წ.წ. – 60) და 118 წარჩინებული მოსწავლე. 2017-2020 წლებში, სკოლებს, ჯამში, 979 **სასკოლო ჟურნალი** და 51 470 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცა. 2021 წელს **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების სისტემა** („ახალი სკოლის“ მოდელი) დაინერგა ხარაგაულის 6 საჯარო სკოლაში. 2013-2020 წლებში, ხარაგაულიდან, ჯამურად, 169 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი გამოვლინდა (მათ შორის, 2018-2019 წლებში – 27 ოქროსა და 23 ვერცხლის მედალოსანი).

**2013-2021 წლებში** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 34 პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულად **ადაპტირებულია** 9 და **ცენტრალური გათბობით** აღჭურვილია 6 საჯარო სკოლა. მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 427,9 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** 4 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციასა და 2 საჯარო სკოლის გაზიფიცირებაზე სულ 426,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას, მათ შორის ბორითისა და ხევის საჯარო სკოლებში მოეწყო სამედიცინო ოთახები (სულ 433 ათასი ლარი). **2016 წელს** ნაწილობრივი რებილიტაცია ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას, მათ შორის ხარაგაულის №3 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი (სულ 64,3 ათასი ლარი). **2015-2016 წლებში** სოფ. ნებოძირსა და მარელისში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაწყებითი სკოლების სასწავლო კორპუსებს. დაბის საჯარო სკოლები გაზიფიცირებულია და ჩართულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდათ ღარიხევის დაწყებით და ხიდრის საჯარო სკოლებს. **2015-2018 წლებში,** მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 18 პროექტი განხორციელდა. **2018 წელს** დასრულდა სოფელ ხიდრის საჯარო სკოლის (დაწყებითი სკოლა) მშენებლობა – 464, 3 ათასი ლარი;

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს** დასრულდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 10 პროექტი, რაზეც, ჯამში, 346,9 ათასი ლარი დაიხარჯა. სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა: ბორითის, ბორის, ლეღვნის, მოლითის, ნადაბურის, საღანძილის, ღორეშის, ხარაგაულის №2, თეთრაწყაროს, ხარაგაულის №3, ხიდრის საჯარო სკოლებში. პანდემიის პირობებში, მოწესრიგდა ყველა იმ საჯარო სკოლის სველი წერტილები, სადაც ამის საჭიროება იყო – **2020 წელს** დაფინანსდა სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები 16 საჯარო სკოლაში (ჯამში, 819,9 ათასი ლარი). სველი წერტილები მოწესრიგდა: ვახანის, მარელისის, ბორის, ლაშის, ხუნევის, ბაზალეთის, ხევის, ვარძიის, წიფის (2 სასწავლო კორპუსი), ბორითის, სარგვეშის, მოლითის, ვაშლევის, ზვარის (შერწყმული ჩრდილის დაწყებითი კორპუსი), დაბა ხარაგაულის №2 საჯარო სკოლებში. იმავე პროგრამის ფარგლებში, **2021 წელს დაფინანსდა:** დაბა ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის ფარცხნალის ოპტიმიზებული კორპუსისა (24,7 ათასი ლარი) და სოფელ მოლითის საჯარო სკოლის (36,5 ათასი ლარი) სველი წერტილების მოწყობა. **მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა** ვერტყვიჭალისა და მარელისის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია. **იმავე წელს** განხორციელდა პროექტები: სოფ. ბორის საჯარო სკოლაში შეკეთდა იატაკები (4,1 ათასი ლარი); სარგვეშის სკოლის შენობაში გაკეთდა თანამედროვე კეთილმოწყობილი სველი წერტილები (26 ათასი ლარი), ზვარეს საჯარო სკოლის ჩრდილის დაწყებითი კლასში აშენდა ახალი საპირფარეშო (20,5 ათასი ლარი); ბორითის საჯარო სკოლაში აშენდა სველი წერტილები (71,2 ათასი ლარი); ღორეშის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი და მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა (13,9 ათასი ლარი); წიფის საჯარო და დაწყებით სკოლებში მოეწყო სველი წერტილები, საჯარო სკოლაში შეიღება სახურავი (54 ათასი ლარი); ხევის საჯარო სკოლაში მოეწყო საპირფარეშო (59,1 ათასი ლარი); ჩატარდა მოლითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (5 ინფრასტრუქტურული პროექტი – 72,6 ათასი ლარი). **დასრულებულია** სოფელ კიცხში, 150 ბავშვზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა (2 მლნ 420,6 ათასი ლარი).

## პროფესიული განათლება

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადება/გადამზადების ერთი პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ახორციელებს.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან, **სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ქიათურა, ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს -12 სტუდენტი, 2020-2021 ს/წელს – 12 სტუდენტი. ასევე, გამყოფი ხაზის პროგრამით, 2020-2021 ს/წელს დაფინანსდა 15 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- 2021-2025 წლებში იგეგმება ხუნევის, ხევისა და ბორითის ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების რეფორმიდან გამომდინარე, 2024 წლამდე გადამზადდება ყველა აღმზრდელი, რათა მიენიჭოთ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი; დაგეგმილია კიცხის, ხიდრის და ბორის საბავშვო ბაღების გაზიფიცირება;
- 2021-2025 წლებში დაგეგმილია: ბორითის საჯარო სკოლის ეზოს ნაწილობრივ შემოღობვა, სკოლის ელექტროგაყვანილობის შეცვლა, სასმელი წყლის რეაბილიტაცია და ბუფეტის მოწყობა;
- მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილია წყალაფორეთის საჯარო სკოლის მშენებლობა; 2025 წლამდე დაგეგმილია ასევე: სოფ. ბორისა ( 25 ათასი ლარი) და ხუნევის (სახურავის შეცვლა) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია; მოლითის საჯარო სკოლის ეზოსა და სპორტული მოედნის მოწყობა; გედსამანიის სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ხარაგაულში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**



**ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ „ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“, რომელიც აერთიანებს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს, ბიბლიოთეკების გაერთიანებასა და ხარაგაულის კულტურის ცენტრს; დაბა ხარაგაულში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა, ერთი პატარა ხარაგაულისა და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკები, ასევე 22 სასოფლო ბიბლიოთეკა (თეთრიწყარო, ლაშე, ფარცხნალი, საღანძილე, ბაზალეთი, კიცხი, წყალაფორეთი, ვარძია, ხიდარი, ბორითი, ღორეშა, სარგვეში, ვერტყვიჭალა, ხევი, ნადაბური, მოლითი, ზვარე, წიფა, ლეღვანი, ვახანი, საბე და მარელისი). დაბა ხარაგაულში ფუნქციონირებს ოთარ აბაშიძის სახალხო თეატრი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი, თოჯინების თეატრი, ხალხური სიმღერის ანსამბლი „ოდილა“, ხალხური ცეკვის ანსამბლი „მთიელი“. ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“, ხალხური ანსამბლი „უბისი“, „სამეჯლისო ცეკვის წრე“, ვოკალური ანსამბლი „ხარაგაულის ხმები“, შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 765,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 393,5 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, იმართება მწერალთა საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სახალხო თეატრის სპექტაკლები, პოეზიისა და თემატური საღამოები, ტარდება კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები და სხვ.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი სპექტაკლებს მართავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და ასევე მთელ საქართველოში. ამასთანავე, თეატრის ორგანიზებით იმართება უკვე ტრადიციად ქცეული ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“, სამხატვრო პლენერი „გამა“ და სხვა მრავალი საინტერესო პროექტი.

მუნიციპალიტეტში მოსწავლეთა თვითშემოქმედების განვითარებას ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. ამჟამად მოქმედ 17 წრეში 350 ბავშვია გაერთიანებული. მარელისის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ხის მხატვრულად დამუშავების წრე, ლეღვანში – ხალხური სიმღერებისა და საკრავების წრე, ბორითში – კომპიუტერების შემსწავლელი წრე, ვერტყვიჭალასა და დაბაში – მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“, დაბაში – მხატვრული კითხვისა და თოჯინების თეატრის წრე, ხატვის, მაკრამეს, მხარეთმცოდნეობის, ხელგარჯილობის, ნორჩი მათემატიკოსის, ინგლისური და ფრანგული ენების შემსწავლელი, კომპიუტერის, ქართული საგალობლების, ხალხური სიმღერისა და ლიტერატურული თეატრის წრეები.

კლასიკური მუსიკის განვითარებას 70 წელზე მეტია ემსახურება ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა, სადაც 100-მდე ბავშვი ეუფლება მუსიკას. სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ კონკურსებსა და ფესტივალებში. 2019 წელს შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ლიეტუვის ქალაქ ტაურაგეში გამართულ ფესტივალში, ასევე ქ. სენაკში გამართულ არტფესტივალსა და საერთაშორისო კონკურსში – „მომავლის ვარსკვლავები”.

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები.** მათ შორის, 2014-2016 წლებში – ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის რემონტი; ლეღვანში ადმინისტრაციული შენობისა და ბიბლიოთეკის ოთახების სარემონტო სამუშაოები; არსებული კინოთეატრის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (531 ათასი ლარი); ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის შენობის რეაბილიტაცია (92,2 ათასი ლარი); სარგვეთსა და საბეში ბიბლიოთეკებისთვის შენობების მშენებლობა; ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია); ბორითში კულტურის სახლისთვის ინვენტარის შეძენა; სარგვეში ბიბლიოთეკის შენობის დასრულება (სულ, 553,3 ათასი ლარი).

**2013-2015 წლები** ხარაგაულის **ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაციაზე** (3 საგამოფენო დარბაზის კოსმეტიკური რემონტი, ფონდების ოთახის რემონტი, ვერცხლეულის დარბაზის გახსნა) 15 ათასი ლარი დაიხარჯა;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მნიშვნელოვანია ხარაგაულის შემოსასვლელში ქვის ხანის პერიოდის ადამიანის საცხოვრებელი „დევის ხვრელი“, ასევე, გვიანი შუა საუკუნეების ჩხერის ციხე და ვახანის ციხე. თითქმის ყველა სოფელში ჯამში 70-მდე ეკლესია-მონასტერია.

**2020 წელს,** დაბა ხარაგაულში, დასრულდა **საკათედრო ტაძრის მშენებლობა,** ამჟამად მიმდინარეობს ეზოს მოპირკეთება და სამრეკლოს მშენებლობა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი, 300-ადგილიანი კინოთეატრი, რომელიც გამოიყენება ყველა სახის ღონისძიების ჩასატარებლად.

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში,** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა – წმინდა გიორგის ეკლესიის მცირე სარეაბილიტაციო პროექტი და არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია (8,5 ათასი ლარი).

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, **2019 წელს** განხორციელდა კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი ლარი) და **„საქართველოს კერამიკის გზა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 24,6 ათასი ლარი).

## სპორტი

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“,** რომლის სხვადასხვა სპორტულ მიმართულებაზე 470 სპორტსმენი ვარჯიშობს.

ხარაგაულში 2014 წლიდან გაიხსნა ახალი სპორტული დარბაზი, რომელშიც ფუნქციონირებს 10 სპორტული სექცია და ვარჯიშობს 250-მდე ბავშვი. ეს სექციებია: ფეხბურთის ორი სექცია, კალათბურთის (გოგონები და ვაჟები), თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, კარატე, ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ასევე სოფლებში ფუნქციონირებს 13 სპორტული სექცია: ხევში – მძლეოსნობა და ძიუდო, ნადაბურში – მძლეოსნობა, ვერტყვიჭალაში – კალათბურთი (გოგონები), ბორითი – ძიუდო და ფეხბურთი, კიცხი – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ბორი– კალათბურთი, კარატე, ზვარე – ძიუდო, მარელისი – კალათბურთი, საღანძილე – ფეხბურთი. ღორეშა-ძიუდო, ვახანი -ძიუდო.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 585 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 197 ათასი ლარი იყო.

**ხარაგაულის სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა რესპუბლიკურ თუ საერთაშორის დონის ტურნირებში და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევენ.** მათ შორის, 2019 წელს: საქართველოს პირველობა **თავისუფალ ჭიდაობაში** – ზაურ ბერაძემ პირველი და ევსემ შველიძემ მეორე ადგილები დაიკავეს; საქართველოს ზონალური პირველობა **ქართულ ჭიდაობაში** 2005-2006 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის, ფინალურ ეტაპზე, რომელიც ქ. მცხეთაში გაიმართა, გადავიდნენ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ მოჭიდავეები: ლუკა ცხვედაძე, ვასილ გრიგალაშვილი, დანიელ თურმანიძე და ნიკოლოზ ლურსმანაშვილი; **კარატე კუნგფუ– სანდას**

**41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო**

გუნდმა მონაწილეობა მიიღო ირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში – პირველი ადგილი დაიკავეს თენგიზ ტაბატაძემ და არჩილ იოსებაშვილმა, მეორე ადგილი – ერეკლე მაღრაძემ, ხოლო მესამე ადგილი გოგა ფურცელაძემ და გივი მაზიაშვილმა; 2008-2010 წწ. დაბადებულ ვაჟ **კალათბურთელთა** გუნდმა მონაწილეობა მიიღო კალათბურთის ფედერაციის მიერ გამართულ „ენ-ბი-ეი ჯუნიორის" ტურნირში; 2005 წ. დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდმა იასპარეზა როინ კვასხვაძის სახელობის თასზე, რომელიც იმერეთის **ფეხბურთის** ფედერაციის ეგიდით იმართება; ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა" აღადგინა ნოდარ ახალკაცის გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში; 2019 წლის თებერვლიდან „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში" გაიხსნა **რაგბის** სექცია და 2019 წლის 13 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო იმერეთის რაგბის კავშირის ეგიდით ხარაგაულში გამართულ რაგბის ფესტივალში.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი: 2013 წელს –** დაბა ხარაგაულში მოეწყო ხელოვნურსაფრიანი სპორტულ საფეხბურთო მოედანი, რაზეც 113 ათასი ლარი დაიხარჯა, დაბა ხარაგაულში მდებარე სპორტკომპლექსისთვის ინვენტარის შეძენას კი 105 ათასი ლარი მოხმარდა. შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის შენობის კარ-ფანჯრის შეცვლა (2,5 ათასი ლარი); ვერტყვიჭალაში სპორტული მოედნის მოწყობა (1,5 ათასი ლარი); ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღარიხევში სათამაშო მოედნის მოწყობა (8,3 ათასი ლარი); მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში სათამაშო მოედნისთვის მასალების შესყიდვა (3,4 ათასი ლარი); სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის განათებების შეცვლა (1,4 ათასი ლარი); ნადაბურში, ქალის უბანში, სპორტული მოედნის მოწყობა (6,5 ათასი ლარი).

**2013-2016 წლებში,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს (დაიხარჯა 2,4 ათასი ლარი). სამინისტრომ 3 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა 23,1 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (დაიხარჯა 2,3 ათასი ლარი).



**2020 წელს** დასრულდა ხელოვნურსაფარიანი ფეხბურათისა და კალათბურთის მოედნების მოწყობა, რაზეც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 224 ათასი ლარი დაიხარჯა.

## ახალგაზრდობის პოლიტიკა

**მუნიციპლიტეტში ფუნქციონირებს ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი,** რომელიც სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებას ატარებს. მათ შორის, ტარდება მუსიკალურ-შემეცნებითი კონკურსები, გონებამახვილთა და საზრიანთა კონკურსი, საგალობლების საღამოები, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, საესტრადო სიმღერის კონკურსები, კლასიკური მუსიკის საღამოები, ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?", დუეტების საღამო და სხვ. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ფოლკლორულ, საესტრადო, თეატრალურ, კინემატოგრაფიულ თუ სხვა კონკურსებში.

**ახალგაზრდობის სფეროში სამინისტრომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა (ძეგლების რესტავრაცია/დასუფთავება, 15 მონაწილე); მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით, მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**2013 წელთან შედარებით, გაიზარდა ახალგაზრდული მიმართულების პროგრამების დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.**

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2025 წლამდე დაგეგმილია ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის სრული რეაბილიტაცია (800 ათასი ლარი) და ეზოს მოწყობა (200 ათასი ლარი);
- დაგეგმილია დაბა ხარაგაულში ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია და კალათბურთის მოედნის მშენებლობა – მოეწყობა ახალი, ქუჩის კალათბურთის მოედანი სკვერითა და შშმ პირებისათვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურით, შეიცვლება ფეხბურთის არსებული მოედნის საფარი და დაზიანებული დეტალები;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის განხორციელდება ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" კიბეების მოპირკეთება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.



დევების ქანდაკებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია დაიწყო




# ჩემო ძვირფასებო!

თქვენი მხარდაჭერითა და ნდობით, სხვადასხვა დროს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ხარაგაულის გამგებლის, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის პოსტს ვიკავებდი, რისთვისაც თქვენი მადლიერი ვარ!

დღეს დასახელებული ვარ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

წლებია, ხარაგაულის უკეთესი მომავლისათვის ერთად ვიბრძვით და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება. თქვენსა და „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად წარმატება გარდაუვალია!

ხარაგაულის თითოეულ სოფელში არსებულ მდგომარეობას კარგად ვიცნობ და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, პრობლემები კვლავ რჩება. გარწმუნებთ, მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული, რეალისტური გეგმა, თუ როგორ გადავჭრათ ეს პრობლემები.

თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურა და სოციალური სფერო იქნება; ყურადღებას მივაქცევთ კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ მიმართულებებს. შევეცდებით, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მაქსიმალურად გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, ხარისხიანად განხორციელდეს პროექტები და ეფექტურად განიკარგოს საბიუჯეტო სახსრები.

მჯერა, ხარაგაულელები სწორ არჩევანს გააკეთებთ და ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას ერთად განვაგრძობთ!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.